www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 22 აგვისტო, 2013 წელი. | №3349 (156) | ფასი 50 თეთრი

ექსტრადიციის ნაცვლად საავადმყოფო

ათენის საპატიმროში გირგვლიანის საქმეზე ბრალდებული დავით ჩხიტუნიძე დაჭრეს

სანდრო გირგვლიანის საქმეზე ბრალდებული, საბერძნეთში დაკავებული დავით ჩხიტუნიძე, თავის არეში დაჭრეს. ჩხიტუნიძის ადვოკატ დალი იმნაიშვილის ინფორმაციით, ინციდენტი ათენში, საექსტრადიციო საპყრობილეში მოხდა. ადვოკატის თქმით, ამჟამად ჩხიტუნიძე ათენის საავადმყოფოშია გადაყვანილი და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. იმნაიშვილის ინფორმაციით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ადგილობრივ ადვოკატს არ აჩვენეს.

„მოვითხოვთ დავით ჩხიტუნიძის საქართველოში სასწრაფო ექსტრადირებას, - აღნიშნა იმნაიშვილმა და დასძინა, რომ ათენის საექსტრადიციო ციხეში ჩხიტუნიძეზე თავდასხმა ხელოვნურად აგორებულმა ბრალდებებმა გამოიწვია. იმნაიშვილის განცხადებით, დავით ჩხიტუნიძის შესახებ სისტემატურად ცრუ ინფორმაცია ვრცელდება.

„14 აგვისტოს მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით დავით ჩხიტუნიძის შესახებ გავრცელდა არასწორი ინფორმაცია, თითქოს იგი ათენის აეროპორტის სასაზღვრო პუნქტში, თურქეთის რესპუბლიკაში გამგზავრების მომენტში წითელი ცირკულარით ძებნის მოტივით დააკავეს. სინამდვილეში, ჩხიტუნიძე, ადვოკატებთან წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე, აპირებდა საქართველოში ჩამოსვლას და საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობას, რის შესახებაც მიმდინარე წლის 13 აგვისტოს განცხადებით მივმართეთ საქართველოს მთავრ პროკურატურას, რადგან იმედი გვქონდა, რომ ჩხიტუნიძის ქვეყანაში შემოსვლის შემდეგ სიმართლე გაირკვეოდა.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

სამთავრობო ჯიხვების კოლონები მთაწმინდის პარკში

„თბილისი პარკის“ დირექტორი ირაკლი სასანია მთავრობის კანცელარიის უფროს მაია ცქიტიშვილს მიმართავს. 1 აგვისტოთი დათარიღებული ნერილი გუშინ „თავისუფალმა ზონამ“ გაავრცელა. სასანიას ინფორმაციით, მთაწმინდის პარკის ტერიტორიაზე სამთავრობო უწყებების პირველი პირები ავტომანქანებით სისტემატურად გადაადგილდებიან.

„მოგეხსენებათ, რომ მთაწმინდის პარკი ყველა თაობისთვის უნიკალური დასვენების ადგილია.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

რუსეთი ბელარუსში ავიაბაზას და გამანადგურებლებს განათავსებს

ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ მოსკოვისკენ მორიგი ნაბიჯი გადადგა და თავდაცვის სამინისტროს დაავალა, ავიაციისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სფეროში ბელარუს-რუსეთის ხელშეკრულებების პრაქტიკულ რეალიზაციას შეუდგეს. მიუხედავად ამისა, ბელარუსის ხელმძღვანელობისთვის ავიაბაზის და ჰაერსაწინააღმდეგო თავდავცის მეთაურობის საკითხები კვლავ მტკივნეულია.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ოცნებამიტოვებულები

მაგდა ლეკიაშვილი

„ქართულ ოცნებასა“ და „დემოკრატიულ მოძრაობას“ შორის პარტიის წევრების გაყოფაზე დავა სულ ცოტა ხნის წინ დაიწყო. გავრცელებული ინფორმაციით, ბურჯანაძის პარტიას ის ადამინები უერთდებიან, რომლებმაც „ქართული ოცნება“ მიატოვეს.

«ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ აბაშიძე ნინო ბურჯანაძეს მმართველი გუნდის მიმართ შავი პიარის აგორებაში ადანაშაულებს. აბაშიძე სიცრუეს უწოდებს ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, კოალიციის რამდენიმე წევრი «დემოკრატიულ მოძრაობას“ შეუერთდა. მისი თქმით, კოალიცია „ქართული ოცნების“ რიგებში შემავალი პარტიების, განსაკუთრებით „თავისუფალი დემოკრატების“ შესახებ არასწორი პროპაგანდა მიდის და აქედან გამომდინარე, კოალიციაში საჭიროდ მიიჩნიეს, განმარტებები გაეკეთებინათ. მან კონკრეტული მაგალითები მოიყვანა. კერძოდ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლანჩხუთსა და მარნეულში „თავისუფალი დემოკრატების“ წევრები ნინო ბურჯანაძის პარტიაში გადავიდნენ. როგორც ზურაბ აბაშიძე აცხადებს, დასახელებული პირები საერთოდ არ ყოფილან „თავისუფალი დემოკრატების“ წევრები.

„მიგვაჩნია, რომ ეს ბინძური კამპანიაა, რომელიც სათავეს იღებს „ნაციონალური მოძრაობიდან“ და მათი ღირსეული წარმომადგენელი იყო ნინო ბურჯანაძე, რომელიც აგრძელებს ამ ტიპის მუშაობას. ღრმად ვართ დარწმუნებულები, რომ ჩვენი კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი დამაჯერებლად გაიმარჯვებს და ქვეყანას ღირსეული პრეზიდენტი ეყოლება,“ - განაცხადა ზურაბ აბაშიძემ. მანვე დასძინა, რომ ბურჯანაძის პარტია ასეთი ტიპის განცხადებებს მომავალშიც გააკეთებს, რადგან ეს მათი პიარის ნაწილია და ამით არჩევნებში შედეგების მიღწევას იმედოვნებენ.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

1 აშშ დოლარი		1.6643⇓
1 ევრო		2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა		2.5933⇓
1 თურქული ლირა		0.8622⇓
100 რუსული რუბლი		5.0433⇓
თბილისი		31°C - 20°C
ქუთაისი		33°C - 20°C
ზუგდიდი		32°C - 21°C
ბათუმი		27°C - 21°C
ნავთობი	3.19	+0.00 +0.16%
გაზი	3.58	+0.11 +3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80 -0.56%
ხორბალი	868.50	+12.25 +1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

„დინამოს“ ევროპის ლიგის ჯგუფამდე ორი დიდი ნაბიჯი აშორებს

გიგა გურასაშვილი

თბილისის «დინამოს» ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპამდე ორი ნაბიჯი აშორებს, აქედან ერთი დღეს აქვს გადასადგმელი «დინამო არენაზე», მეორე კი ლონდონში - «ვაით ჰართ ლეინზე». ეგაა, ეს ნაბიჯები დიდი და რთულია.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე



ქართული სეზონი ედინბურგის ფესტივალზე 2013

ანა წულუკიძე

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებით, ქალაქ ედინბურგში, საერთაშორისო ფესტივალზე, საქართველო, ვასო აბაშიძის მუსიკისა და დრამის თეატრის, მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრისა და თეატრი ათონელზე სპექტაკლებითაა წარმოდგენილი.

უცხოელმა უკვე იხილეს 3 სპექტაკლი: «კაბა» (რეჟისორი-ჰილარი ვუდი), «ჩემი თაობის «ავტოპორტრეტი» (რეჟისორი- ნანა კვასხვაძე) და «მელოტი მომღერალი ქალი»(რეჟისორი -ზურაბ გეწაძე).

ფესტივალზე სპექტაკლების შეფასება, როგორც წესი, კრიტიკოსების მიერ 5-ქულიანი შკალის საფუძველზე ხდება.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

სასკოლო სახელმძღვანელოს მოვლა-პატრონობა 15-ქულიანი სკალით შეფასდება

სახელმძღვანელოს მოვლა-პატრონობა 15-ქულიანი სკალით შეფასდება. სახელმწიფოს მიერ მოსწავლისთვის უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში გადაცემული სკოლის სახელმძღვანელოების და დამხმარე ლიტერატურის გამოყენების ზოგადი წესის, მათი მოვლა-პატრონობის შეფასების კრიტერიუმები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ თამარ სანიკიძის ბრძანებით დამტკიცდა. მინისტრის ბრძანება „საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე განთავსდა.

სახელმძღვანელოს შესახებ ხელშეკრულება საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლის მშობელთან ან მის კანონიერ წარმომადგენელთან იდება. სახელმძღვანელოს მოვლა-პატრონობა 15-ქულიანი სკალით ფასდება. სახელმძღვანელოს მოვლის შეფასების კრიტერიუმია ყდის მდგომარეობა, სახელმძღვანელოს სისუფთავე, სახელმძღვანელოს გვერდების მდგომარეობა. დაუზიანებელი ყდა 5 ქულით ფასდება, უმნიშვნელოდ დაზიანებული - 4 ქულით; დაზიანებული, თუმცა სასწავლო პროცესში გამოყენებადი - 3 ქულით; მნიშვნელოვნად დაზიანებული, შიგთავსს დაცილებული - 1 ან 2 ქულა.

რაც შეეხება სახელმძღვანელოს სისუფთავეს, შეფასების კრიტერიუმი ასეთია: სახელმძღვანელო მარკირების გარეშე - 5 ქულა; უმნიშვნელოდ მარკირებული - 4 ქულა; მარკირებული, თუმცა სასწავლო პროცესში გამოყენებადი - 3 ქულა; მნიშვნელოვნად მარკირებული, სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად გამოუსადეგარი - 0 ქულა. ხოლო სახელმძღვანელოს გვერდების მდგომარეობა ასე შეფასდება: დაუზიანებელი - 5 ქულა; უმნიშვნელოდ დაზიანებული - 4 ქულა; დაზიანებული, მაგრამ სასწავლო პროცესში გამოყენებადი - 3 ქულა; დახეული, არ იკითხება შინაარსი და სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად გამოუსადეგარი - 0 ქულა.

განათლების მინისტრის ბრაძანებით, მოსწავლეს გამოსაყენებლად შეიძლება გადაეცეს არანაკლებ 9 ქულით შეფასებული სახელმძღვანელო. ხოლო, სახელმძღვანელო, რომლის მოვლა-პატრონობის შეფასების ქულა შეადგენს 8-ს და ნაკლებს, გამოსაყენებლად გამოუსადეგარია.

მოსწავლე ვალდებულია, სახელმძღვანელოები გამოიყენოს მხოლოდ სასწავლო პროცესის მიზნებისთვის; არ გადასცეს სახელმძღვანელო მესამე პირს; უზრუნველყოს სახელმძღვანელოს მთლიანობის დაცვა; გაუფრთხილდეს სახელმძღვანელოებს: არ დააზიანოს, არ ჩაკეცოს ფურცლები, არ გააკეთოს მინაწერები და სხვა.

მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი კი ვალდებულია, უზრუნველყოს მოსწავლის მიერ სახელმძღვანელოების გამოყენება მხოლოდ სასწავლო პროცესის მიზნებისთვის და სახელმძღვანელოების სათანადო მოვლა-პატრონობა; არ დაუშვას მოსწავლის, ასევე ნებისმიერი პირის მიერ სახელმძღვანელოების გადაცემა მესამე პირისთვის; სახელმძღვანელოს მიღების დროს გადაათვალიეროს ისინი და დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამისად საჯარო ან კერძო სკოლას, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაზიანებულ სახელმძღვანელოზე პასუხისმგებლობა დაეკისრება მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს; ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლისთანავე, ასევე მოსწავლის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მობილობის განხორციელების ან მოსწავლის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში სკოლას დაუბრუნოს სახელმძღვანელოები ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული სკალის მიხედვით არაუმეტეს 3 ქულით გაუარესებულ მდგომარეობაში.

მშობელის მიერ აღნიშნულის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია, ჩაანაცვლოს სახელმძღვანელო „იდენტური შინაარსისა და რედაქციის სახელმძღვანელოთი“. ამ ვალდებულებისგან მშობელი შესაძლოა, მხოლოდ „ობიექტური გარემოების არსებობისას“ გათავისუფლდეს.

16 სექტემბრიდან საჯარო სკოლების მოსწავლეებს, ასევე კერძო სკოლების მოსწავლეთა გარკვეულ კატეგორიას (აგვისტოს ომში დაღუპულთა შვილები, სოციალურად დაუცველები) სახელმძღვანელოები უფასოდ გადაეცემათ.

სამთავრობო ჯიპების კოლონები მთაწმინდის პარკში

პირველი გვერდიდან

ყოველდღიურად პარკს ათასობით ადგილობრივი და უცხოელი სტუმრობს. პარკში სტუმრობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ულამაზესი ლანდშაფტი და ჰაერია. სწორედ ამიტომ სტუმრებს შორის ბევრი ბავშვიანი ოჯახია. მიუხედავად იმისა, რომ პარკის ტერიტორიაზე განთავსებულია სხვადასხვა ორგანიზაციები, მათ შორის - ტელეანძა, სტუმართა ინტერესებიდან გამომდინარე, პარკის ადმინისტრაცია პარკის ტერიტორიაზე ავტომობილებით გადაადგილებას მაქსიმალურად ზღუდავს. განსაკუთრებულ შემთხვევებში (ტექნიკური, სამშენებლო) ავტომობილები გადაადგილდებიან ძალიან ნელი სვლით, მხოლოდ დილის და ღამის საათებში, ჩვენი უსაფრთხოების მანქანის თანხლებით,“ - ნათქვამია სასანიას წერილში. იგი აღნიშნავს, რომ ფუნიკულიორის რესტორნის გახსნის შემდეგ პარკის ადმინისტრაცია ახალი პრობლემის წინაშე დადგა. სხვადასხვა სამთავრობო უწყებების პირველი პირები სისტემატურად, ნებისმიერ დროს ითხოვენ პარკის ტერიტორიაზე რესტორნის მიმართულებით გადაადგილებას.

„ამის გამო პარკის ვიზიტორებს სერიოზული დისკომფორტი ექმნებათ, რის გამოც უკმაყოფილებას ღიად გამოთქვამენ. დამერწმუნეთ, ნამდვილად არ გამოიყურება ესთეტიკურად დაცვის თანხმლები შავი ჯიპების კოლონა ბავშვებითა და უცხოელებით სავსე პარკის შუაგულში. მოგეხსენებათ, ასეთ პრეცედენტს მსოფლიოს ვერც ერთ პარკში ვერ ნახავთ. დარწმუნებულები ვართ, სამთავრობო უწყებების ყველა პირი არ არის ინფორმირებული იმის შესახებ, რომ არსებობს სპეციალური პარკირების ადგილი, რომელიც რესტორანს გამოვუყავით და რესტორნიდან მხოლოდ 20-30 მეტრის დაშორებით მდებარეობს. სწორედ ამის გამო მოგმართავთ თხოვნით, უზრუნველყოთ სამთავრობო სექტორის ინფორმირება, რათა მომავალში ავტომანქანები მათთვის გამოყოფილ ავტოსადგომზე დააყენონ. მთაწმინდის პარკის ადმინისტრაცია გაგებით ეკიდება ყველა ისეთ შემთხვევას, როცა აუცილებელი გახდება პარკის ტერიტორიის გამოყენება საპატიო სტუმრების გადაასადგილებლად. სხვა შემთხვევაში, გთხოვთ თანადგომას, რათა პარკში სამთავრობო ავტომობილების მოძრაობა მინიმუმამდე დავიყვანოთ,“ - აღნიშნავს წერილში ირაკლი სასანია.

გუშინ კი, მთაწმინდის პარკის დირექტორმა „ინტერპრესნიუსს“ სატელეფონო საუბრიასას განუცხადა, რომ მთავრობის კანცელარიისთვის გაგზავნილი წერილის შემდეგ, პრობლემა ამოიწურა.

იგივე ინფორმაცია აქვს მთავრობის კანცელარიის პრესსამსახურსაც. მათი ცნობით, სამთავრობო უწყებებმა მთაწმინდის პარკში გადაადგილების გამო გაფრთხილება უკვე მიიღეს. კანცელარიის პრესსამსახურში ვერ აკონკრეტებენ, თუ რომელი უწყებების მიმართ ჰქონდა მთაწმინდის პარკის ადმინისტრაციას პრეტენზიები. მათი თქმით, წერილში საუბარი იყო ზოგადად სამთავრობო მანქანების კოლონებზე.

„გაფრთხილება ყველა უწყებამ მიიღო და იმედი გვაქვს, მსგავსი პრობლემა აღარ შეიქმნება. რამდენადაც ვიცით, პრეტენზიები აღარც მთაწმინდის პარკს აქვს,“ - აცხადებენ მთავრობის კანცელარიაში.

ექსტრადიციის ნაცვლად საავადმყოფო

პირველი გვერდიდან

მან ათენის აეროპორტში სასაზღვრო პუნქტში პირადი დიპლომატიური პასპორტი ისე წარადგინა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ამ პასპორტის გაუქმების შესახებ არაფერი იცოდა, რის გამოც ბერძნულმა მხარემ დააკავა. ეჭვი გვაქვს, რომ დავით ჩხიტუნიძის ექსტრადიციას შეგნებულად აჭიანურებენ,“ - ამბობს ადვოკატი და შენიშნავს, რომ ჩხიტუნიძე საბერძნეთის მხარემ დიპლომატიური პასპორტით დააკავა.

„იგი არის მაღალჩინოსანი პოლიციელი. ჩხიტუნიძე 19 წელია, პოლიციაში მუშაობს და საბერძნეთის მხრიდან მისი ჩვეულებრივ ციხეში ჩასმა არაკანონიერია. მოვითხოვთ, კანონის შესაბამისად ცალკე წარმოებად გამოეყოს დავით ჩხიტუნიძის ბრალდების საქმე. შეწყდეს მის მიმართ პროვოკაციები და ცრუ ინფორმაციების გავრცელება. დავით ჩხიტუნიძეს, ათენის საექსტრადიციო ციხეში რამდენიმე დღის წინ ფიზიკურად გაუსწორდნენ, იგი თავშია დაჭრილი და ათენის საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში იმყოფება,“ - განაცხადა ადვოკატმა დალი იმნაიშვილმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის ინფორმაციით კი, საბერძნეთის ციხეში ნაცემმა დავით ჩხიტუნიძემ საბერძნეთში საქართველოს ელჩთან და კონსულთან შეხვედრა არ მოისურვა. როგორც მაია ფანჯიკიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ელჩი და კონსული დავით ჩხიტუნიძის მოსანახულებლად საავადმყოფოში მივიდნენ, თუმცა მან ელჩთან და კონსულთან შეხვედრა არ ისურვა.

„რით არის გამოწვეული, რომ მან ეს შეხვედრა არ ისურვა, ამას მე ვერ გეტყვით. რაც შეეხება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, ელჩი და კონსული საავადმყოფოს ხელმძღვანელობას გაესაუბრნენ და მიიღეს პასუხი, რომ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია,“ - აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ. მინისტრის თქმით, დავით ჩხიტუნიძეს ჩაუტარდა ყველა გამოკვლევა, ტომოგრაფიის ჩათვლით, მაგრამ დეტალები, მისივე სურვილის შესაბამისად, არ ხმაურდება. როგორც მინისტრმა აღნიშნა, საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩხიტუნიძის მიმართ იჩენს იმ ყურადღებას, რაც უცხოეთში დაკავებული საქართველოს მოქალაქის მიმართ უნდა გამოიჩინოს, ხოლო შემდეგი პროცედურები უწყების კომპეტენციას სცდება. რაც შეხება დავით ჩხიტუნიძის დიპლომატიურ პასპორტს, როგორც ფანჯიკიძემ განაცხადა, საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩხიტუნიძისთვის დიპლომატიური პასპორტი არ გაუუქმებია.

„არ გაუუქმებია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას ჰქონდა დიპლომატიური პასპორტი, რადგან იმყოფებოდა დიპლომატის თანამდებობაზე, ხოლო თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, პრეზიდენტის ბრძანებულებით, რომელიც 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გამოიცა, ყველას, ვისაც დიპლომატიური პასპორტი ჰქონდა, მათი მოქმედების ვადა ერთი წლით გაუხანგრძლივდა. ის იმის გამო დაიკავეს, რომ ინტერპოლით იძებნებოდა, ამიტომ ამ ფაქტთან საგარეო საქმეთა სამინისტროს არანაირი შეხება არ აქვს,“ - ამბობს ფანჯიკიძე.

დავით ჩხიტუნიძის ათენის ციხეში ცემის ფაქტს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია ე.წ. კანონიერი ქურდების შეკვეთად მიიჩნევს. ამის შესახებ განცხადება ახალაიამ „ფეისბუქის“ მეშვეობით გაავრცელა.

„რამდენიმე დღის წინ, ქართველი კანონიერი ქურდების შეკვეთით, სასიკვდილოდ გაიმეტეს იუსტიციის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი დავით ჩხიტუნიძე. ამ კრიმინალებს ტყუილად ჰგონიათ, რომ მათი დრო მოვიდა და შეუძლიათ, შური იძიონ სახელმწიფოზე, მოქალაქეებზე, ყოფილ ან მოქმედ თანამშრომლებზე, რომელთაც დაამყარეს ქვეყანაში წესრიგი. რა დროც არ უნდა დასჭირდეს ამ ვითარების გარკვევას, გარწმუნებთ, შემკვეთებიც და შემსრულებლებიც უმკაცრესად აგებენ პასუხს კანონის წინაშე. მინდა, ვუთხრა კანონიერ ქურდებს, რომ მათი პალაჟენიის“ დანგრევა და წესრიგის დამყარება ჩემი ბრალია“ და ამ საქმეს ადრე თუ გვიან აუცილებლად მივიყვან ბოლომდე,“ - ნათქვამია ახალაიას განცხადებაში.

დავით ჩხიტუნიძე ათენში, თურქეთში გამგზავრების მცდელობისას, რამდენიმე დღის წინ დააკავეს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ინტერპოლით ძებნილი ბრალდებული საბერძნეთის სამართალდამცველებმა ქართული მხარის მოთხოვნის საფუძველზე აიყვანეს. ჩხიტუნიძის ადვოკატების ინფორმაციით კი, მათი დაცვის ქვეშ მყოფი საქართველოში დაბრუნებას და ჩვენებების მიცემას აპირებდა და საზღვარზე იმ მოტივით აიყვანეს, რომ მის დიპლომატიურ პასპორტს მოქმედების ვადა შეჩერებული ჰქონდა.

დავით ჩხიტუნიძეს სანდრო გირგვლიანის საქმეზე ბრალად წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს. ჩხიტუნიძეს გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებული პირების ციხეში პრივილეგირებულად ყოფნის ხელშეწყობა ბრალდება. დავით ჩხიტუნიძე იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილედ მუშაობდა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი **რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

ოცნებამიტოვებულები

ძალიან ცდებიან, რადგან ქართულ საზოგადოებას ისინი კარგად არ იცნობენ,“ - დასძენს «ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი და აცხადებს, რომ კოალიცია «ქართულ ოცნებას» და მასში შემავალ პარტიებს დაშლა არ ემუქრებათ.

რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ინფორმაციით, ლანჩხუთში კოალიცია «ქართული ოცნება“ 50-მდე წევრმა დატოვა. მათ შორის იყვნენ პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ მხარდამჭერი გელა კვერენჩხილაძე და „ქართული ოცნების“ წევრი ზურაბ რუსიძე. ორივე მათგანმა კოალიციის დატოვება დაადასტურა. კვერენჩხილაძის თქმით, ის პარტიის დაარსების დღიდან «თავისუფალი დემოკრატების“ მხარდამჭერი იყო, თუმცა პარტიის არასწორი პოლიტიკური მიმართულების გამო უარი თქვა თანამშრომლობის გაგრძელებაზე.

თუმცა, ბიძინა ივანიშვილს არ ვემიჯნები. პირიქით, მიმაჩნია, რომ მან გადაარჩინა საქართველო, თუმცა ლანჩხუთში კოალიციურ რეჟიმში მუშაობა არ შედგა - ერთი პატარა გუნდია შიგნით და თავისებურად ფუსფუსებენ. ამ ეტაპზე მხარს ვუჭერ ნინო ბურჯანაძეს,“ - განაცხადა გელა კვერენჩხილაძემ.

იმ ადამიანებს, ვინც მართლაც თავდადებულად ვიბრძოდით „ქართული ოცნების“ გამარჯვებისთვის, პირველი ოქტომბრის შემდეგ მოსულმა ხალხმა იგნორირება გაუკეთა, მათ პასუხსაგები თანამდებობები დაიკავეს და გვავიწროვებდნენ. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მე ამ ხალხთან არ უნდა ვიმუშაო და პარტია უნდა დავტოვო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ივანიშვილის პოლიტიკას უარვყოფ. ვფიქრობ, ქალბატონ ნინო ბურჯანაძესთან ერთად ბატონი ბიძინა შეძლებს ქართველი ხალხის ფეხზე დაყენებას. ჩემი ინფორმაციით, „ქართული ოცნება“, დაახლოებით, 50-მა ადამიანმა დატოვა და ყველა ერთად ვიმუშავებთ ბურჯანაძის შტაბში,“ - ასე განმარტა საკუთარი გადაწყვეტილება «ოცნების“ უკვე ყოფილმა წევრმა ზურაბ რუსიძემ.

სხვა პოლიტიკური ძალებიდან აქტივისტების გადასვლის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ოფიციალურად ადასტურებენ «დემოკრატიულ მოძრაობაში“. პარტიაში აცხადებენ, რომ „დემოკრატიული მოძრაობა“ მიესალმება და პატივს სცემს ყველა იმ ადამიანის პოზიციას, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება, საპრეზიდენტო არჩევნებში ნინო ბურჯანაძეს დაუჭირონ მხარი და მის პოლიტიკურ გუნდს შეუერთდნენ.

ჩვენ უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვანიჭებს ჩვენი თანამოქალაქეების უდიდესი რაოდენობის მიერ ბოლო პერიოდში გამოცხადებული ნდობა და მხარდაჭერა. ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი და დასაფასებელია ნებისმიერი ჩვენი თანამემამულის პოზიცია,“ - ნათქვამია პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

დაახლოებით, ერთი კვირის წინ მსგავსი შემთხვევა კახეთშიც გამოვლინდა.

გურჯაანში «ქართული ოცნების» მხარდამჭერებმა, რომლებიც საპარლამენტო არჩევნების დროს კოალიციის კოორდინატორები იყვნენ, ოცნების ოფისი დატოვეს და «ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიულ მოძრაობას» შეუერთდნენ. მათ «ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილსა და «რესპუბლიკურ პარტიას» უნდობლობა გამოუცხადეს.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირინა იმერლიშვილმა კოალიცია „ქართული ოცნების“ რეგიონული წარმომადგენლობებიდან პარტიის წევრების მასობრივად წასვლის ფაქტი კატეგორიულად უარყო.

ნასამართლეობის მოხსნა ამ ეტაპზე 2100 ადამიანს სურს

ორი დღეა, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან ხალხმრავლობაა. ნასამართლევი და პირობით მსჯავრდებული პირები ნასამართლეობის და პირობითო მსჯავრის მოხსნის შესახებ განცხადებს ავსებენ და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აბარებენ. პრეზიდენტის ინიციატივის საფუძველზე, შეწყალების სურვილი, ამ დრომდე დაფიქსირებული მონაცემებით, 2100 პირმა გამოთქვა. პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, 2100 ადამიანიდან 1200-მა დარეგისტრირება უკვე მოახერხა, ხოლო დანარჩენები სატელეფონო ზარების მეშვეობით რეგისტრაციის რიგში ჩაეწერნენ. განაცხადების მიღების დრო 10:00-დან 18:00 საათამდეა განსაზღვრული.

ამასთან, პრეზიდენტის ადმინისტრაცია მიმართავს ყველა იმ მოქალაქეს, ვინც პირობითი მსჯავრის მოხსნის მიზნით ქვეყნის პირველ პირს შეწყალებას სთხოვს. ადმინისტრაციის განცხადებით, პრეზიდენტის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და კონკრეტული სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი პირი ვალდებულია, დაემორჩილოს სასჯელის მოხდის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესსა და პირობებს, შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობები, ასევე პრობაციის ეროვნული სააგენტოს, პრობაციის ოფიცრისა და სხვა უფლებამოსილ თანამშრომელთა კანონიერი მოთხოვნები.

ყოფილი პატიმარი გვანცა ყუფარაძე კი ნასამართლეობის მოხსნაზე უარს აცხადებს და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მიმართავს. როგორც მიმართვაშია აღნიშნული, 9 წლის განმავლობაში ადამიანებს ბრალს სდებდნენ, ასამართლებდნენ, სასჯელს უფარდებდნენ და მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგ იწყებოდა კონკრეტული პირის რეალური ბრალეულობის ალბათობაზე მსჯელობა.

„მე უარს ვამბობ სასჯელისა და ნასამართლეობის მოხსნაზე. თქვენთვის არაფერს ნიშნავდა ჩემი ათეულობით განაცხადი, იურიდიული მიმართვები - სამართლებრივი შეფასებები ადვოკატების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სახალხო დამცველის, პოლიტიკოსების, ჟურნალისტების მხრიდან. თქვენთვის არაფერს ნიშნავდა თქვენს სისტემურ იდეოლოგიას შეწირული ადამიანები და მათი ოჯახის წევრები. ის კი, რასაც დღეს სჩადიხართ, პრიმიტიული მარაზმია. პირადად მე თქვენ, როგორც საქართველოს პრეზიდენტს, პოლიტიკოსს, არასდროს გაპატიებთ იმას, რაც საქართველოს, ქართველ ხალხს გაუკეთეთ. არ გაპატიებთ იმიტომ, რომ ქმედება უპატიებელია, ხოლო როგორც ადამიანს, რასაკვირველია, დიახ, გაპატიებდით რომ გეთხოვათ, თავი, სულ მცირე, დამნაშავედ მაინც რომ გეგრძნოთ. პოზიციით, რომელზეც დგახართ, ვერასდროს შეიძენთ ფენიქსის ფუნქციას, რადგან გარდასახვას შინაგანი სიმძიმე ხელს უშლის, აღდგენის შესაძლებლობას არ აძლევს, თუმცა არსებობს ერთი რამ, რაშიც მე და თქვენ დღეს ერთ პოზიციაზე ვდგავართ: მე ვერ შევიცვლი ფერს, რადგან უკვე ვიცვალე, ამიტომ მენტალური რეგრესის დაუშვებლობა ჩემთვის მთავარია. თქვენ კი ვერ იცვლით ფერს, რადგან შავ-თეთრი ხართ,“ - აღნიშნულია მიმართვაში.

„ქართული ოცნება„ რისკის ქვეშ აყენებს დემოკრატიას„

„საქართველოს მყიფე დემოკრატიული პროცესი“ - ამ სათაურით აქვეყნებს ამერიკული გამოცემა «უოლ სტრიტ ჯორნალი» «ევროპის სახალხო პარტიის“ ვიცე-პრეზიდენტ გუნარ ჰოკმარკის წერილს. როგორც ჰოკმარკი აღნიშნავს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ მისი ხელისუფლება „პროგრესს პრაგმატიზმის გზით“ აღწევს, თუმცა რთულია ამის გაგება, როცა საქმე დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას ეხება.

„ყოფილ მთავრობას ჰქონდა ხარვეზები, მაგრამ მან წარმატებას მიაღწია კორუფციასთან ბრძოლაში, როგორც ამას „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კორუფციის ინდექსი ადასტურებს. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობამ, რომელიც ხელისუფლებაში 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოვიდა, დემოკრატიის საბოლოო ტესტიც ჩაბარა - გასული წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლების მშვიდობიანი და მოწესრიგებული გადაბარებით, რომელმაც გადამწყვეტი გამარჯვება მოუტანა ბიძინა ივანიშვილის კოალიცია „ქართულ ოცნებას“. ბატონმა ივანიშვილმა შეიძლება, ოპოზიცია გააკრიტიკოს, მაგრამ იმას ვერ უარყოფს, რომ მან ხელისუფლება მშვიდობიანად, დემოკრატიული არჩევნების შედეგად ჩაიბარა და ეს შეუძლებელი იქნებოდა იმ პროგრესის გარეშე, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მმართველობისას იქნა მიღწეული. მაგრამ მიუხედავად ამისა, ახლა „ქართული ოცნების“ ხელისუფლება იყენებს სამართლებრივ ინსტიტუციებს მუქარის, შევიწროვებისა და ოპოზიციის წარმომადგენელთა დაპატიმრებისთვის, რითიც რისკის ქვეშ აყენებს დემოკრატიას,“ - აღნიშნავს „ევროპის სახალხო პარტიის“ ვიცე-პრეზიდენტი.

შსს-მ ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკების შეძენა-შენახვის ფაქტზე სამი პირი დააკავა

საპატრულო პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღის და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე სამი პირი დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა საბურთალოს ქუჩაზე სამი პირი: 1985 წელს დაბადებული ლუკა გ. - ცეცხლსასროლი იარაღის და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ხოლო 1981 წელს დაბადებული გიორგი ს. და 1985 წელს დაბადებული ლაშა ს. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს, ე.წ. „ნარკოკომის“ შესახებ მიღებული შეტყობინების გადამოწმებისას, საბურთალოს ქუჩაზე, ლუკა გ-ს კუთვნილ საცხოვრებელ ბინაში სტუმრად მყოფი გიორგი ს. უგონო მდგომარეობაში დახვდათ. იგი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ „ემერჯენსის“ კლინიკაში გადაიყვანა. აღნიშნულ ბინაში ასევე იყვნენ თავად ლუკა გ. და ლაშა ს, რომლებიც, ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, ნარკოტიკული ნივთიერება „ოპიუმის“ ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ლუკა გ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას „კოლტის“ და „სტეჩკინის“ მოდელის უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და 2 ერთჯერადი შპრიცი ამოიღეს, რომლებშიც 0,0321 გრ „ჰეროინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება იყო მოთავსებული.

გამოძიება ლუკა გ-ს მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე (სსსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით), ხოლო ლაშა ს-ს და გიორგი ს-ს მიმართ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

გამოძიებას აწარმოებს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საგამოძიებო სამსახური.

«მე-9 არხის“ შესყიდვის მსურველებმა კანცელარიაში მიმართვა შეიტანეს

«მე-9 არხის“ შესყიდვის მსურველმა საინიციატივო ჯგუფის წევრებმა მთავრობის კანცელარიაში, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის სახელზე მიმართვა შეიტანეს. როგორც ჟურნალისტებს საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა ია ანთაძემ უთხრა, პრემიერმა თავად განაცხადა, რომ მისი ოჯახი ტელევიზიის დახურვას აპირებს, მაგრამ შესაძლებელია, მესამედ ფასში გაყიდოს, თუ 1 სექტემბრამდე ისეთი მყიდველი გამოჩნდება, რომელიც ჟურნალისტებს სამუშაო ადგილს შეუნარჩუნებს.

„მაშინ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ რადან ჯერ კიდევ არის დრო, შესაძლებელია, საზოგადოების აქტიური ნაწილი დაინტერესებული იყოს, შექმნას სააქციო საზოგადოება, რომელიც ტელეკომპანიას იყიდის, თუკი პრემიერის ოჯახი გაყიდვას აპირებს,“ - განაცხადა ანთაძემ.

მისივე თქმით, საინიციტივო ჯგუფმა პრემიერს მისივე განცხადების საფუძველზე მიმართა. საინიციატივო ჯგუფის წევრები მზადყოფნას გამოთქვამენ, შეხვდნენ ბიძინა ივანიშვილს, შესთავაზონ საკუთარი წინადადებები და მისი პირობებიც მოისმინონ. „ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტენ, ტელევიზია გაყიდონ და სააქციო საზოგადოების იდეა დააინტერესებთ,“ - აღნიშნა ია ანთაძემ.

ზუგდიდში მოსამართლის ბინა გაქურდეს

ზუგდიდში რაიონული სასამართლოს მოსამართლის დავით გელაშვილის საცხოვრებელი სახლი გაქურდეს. ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, გელაშვილის ნაქირავები ბინიდან წაღებულია მოსამართლის პირადი და საოჯახო ნივთები, ასევე ტანსაცმელი. მოსამართლის ბინის გაქურდვის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

აკაკი ასათიანს ბინა ბანკმა ჩამოართვა

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ინფორმაციით, „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერი, პრეზიდენტობის კანდიდატობის მსურველი აკაკი ასათიანი სახლიდან გამოასახლეს. მათი ცნობით, აკაკი ასათიანს სულთანიშვილის ქუჩაზე საკუთარი 4-სართულიანი სახლი ბანკმა ჩამოართვა.

პარალელურად, დღის განმავლობაში, ასათიანის სახლთან შეკრებილები იყვნენ კერძო იპოთეკარები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დაზარალებულები არიან და მათ სხვადასხვა დროს ასათიანს თანხები ასესხეს, რის დაბრუნებასაც წლებია, უშედეგოდ ელიან.

„ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერი და პრეზიდენტობის კანდიდატი აკაკი ასათიანი კი ამბობს, რომ სახლიდან არ გამოუსახლებიათ და მან მხოლოდ დაცალა სახლი, რომელიც ბანკის კუთვნილებაა.

„ჩემი პრობლემების გამო სახლი ბანკს ეკუთვნის. მე მაქვს კიდევ სხვა პრობლემებიც კერძო ადამიანებთან, ვალის სახით. მე ისეთივე მდგომარეობაში ვარ, რაშიც ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა ამ საკითხისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულების გამო,“ - აცხადებს აკაკი ასათიანი.

მერკელმა დაჰაუს საკონცენტრაციო ბანაკი მოინახულა

ანგელა მერკელი გერმანიის პირველი კანცლერია, რომელმაც მიუნჰენის მახლობლად, დაჰაუში, ნაცისტების ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკი მოინახულა. კანცლერმა ბანაკში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად გვირგვინი მიიტანა, ტერიტორია დაათვალიერა და მის ცენტრალურ მოედანზე, სადაც ფაშისტები დაკავებულებს საათობით დგომას აიძულებდნენ, მოკლე და ემოციური სიტყვა წარმოთქვა. მერკელმა განაცხადა, რომ მას საკონცენტრაციო ბანაკი «ღრმა მწუხარების და სირცხვილის გრძნობით» ავსებს. მერკელის სიტყვებით, ეს არის გერმანიის ისტორიაში საშინელი თავი, რომლის მსგავსი არც მანამდე ყოფილა და არც შემდეგ. «ეს ადგილი ჩვენთვის მუდმივი გაფრთხილებაა. როგორ შეძლო გერმანიამ იქამდე დაშვებულიყო, რომ ადამიანებისთვის სიცოცხლის უფლება მხოლოდ მათი წარმოშობის, რელიგიის ან სექსუალური ორიენტაციის გამო წაერთმია?»

მერკელმა დაჰაუ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მოინახულა და ეს მისმა ოპონენტებმა გააკრიტიკეს. დაჰაუს პატიმართა კომიტეტის თავმჯდომარე, 93 წლის მაქს მანჰაიმერი დიდი ხანია, მოითხოვდა, რომ მერკელი დაჰაუში მისულიყო. მან ამ ვიზიტს ისტორიული უწოდა და «ყველა ყოფილი პატიმრის ხსოვნის პატივისცემად» მიიჩნია. დაჰაუ პირველი საკონცენტრაციო ბანაკი იყო, რომელიც ფაშისტურ გერმანიაში 1933 წლის მარტში გაიხსნა. ის ამერიკის არმიამ 1945 წლის აპრილში გაათავისუფლა. იქ, დაახლოებით, 30 ათასი ადამიანი დაიღუპა.

«ასადის არმიამ ქიმიური იარაღი გამოიყენა»

სირიის ოპოზიციის აქტივისტების განცხადებით, დამასკოსთან ახლოს სამთავრობო ძალებმა ნერვულ-პარალიტიკური გაზი გამოიყენეს, რასაც ასობით ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის ქალები და ბავშვები. «სი-ენ-ენ“-ის ცნობით, აღნიშნულს უკვე გამოეხმაურა სირიის მთავრობა და ამ ინფორმაციას «სრულიად უსაფუძვლო“ უწოდა. ქვეყანაში კი ორი დღეა, გაეროს ექსპერტთა ჯგუფი იმყოფება, რომელიც სწორედ ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტებს შეისწავლის. მთავრობა და ოპოზიცია ქიმიური იარაღის გამოყენებაში ერთმანეთს ადანაშაულებენ.

ქვეყანაში კონფლიქტი 2011 წლის მარტში დაიწყო, რასაც, გაეროს ხელთ არსებული ინფორმაციით, 100 000 ადამიანზე მეტი შეეწირა, სირიის ორი მილიონი მოქალაქე კი ლტოლვილად იქცა.

ირანმა ურანის გამდიდრებაზე მუშაობა შეაჩერა?

ირანმა ურანის გამდიდრება 20 პროცენტზე შეაჩერა და ახლა ამ მასალის ბირთვულ კვლევით რეაქტორში გამოყენებას გეგმავს. აღნიშნულის შესახებ, «ეხო კავკაზას“ ცნობით, ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დოკუმენტებშია ნათქვამია. ურანის მხოლოდ 20 პროცენტამდე გამდიდრება ნიშნავს, რომ «მას წითელი ხაზი არ გადაუკვეთავს“, რის შესახებაც გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ისრაელის მხარე საუბრობდა. ამასთან, 2010 წლიდან მოყოლებული, ირანს 20 პროცენტამდე გამდიდრებული 240-250 კგ ურანი გააჩნია, რაც ერთი ბირთვული ქობინის დასამზადებლად არის საკმარისი, ოღონდ იარაღში გამოსაყენებლად მისი გამდიდრება უნდა 80-90 პროცენტამდე გაგრძელდეს.

ბირთვულ პროგრამაზე მუშაობის გამო ქვეყანას ამერიკამ და ევროკავშირმა მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესეს. დასავლეთი შიშობს, რომ ირანის მიზანი ბირთვული იარაღის შექმნაა, რასაც ეს ქვეყანა კატეგორიულად უარყოფს და აღნიშნავს, რომ ამ პროგრამაზე მუშაობა მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის სჭირდება.

აზერბაიჯანში პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაცია დაიწყო

20 აგვისტოს აზერბაიჯანში პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაცია დაიწყო. საპრეზიდენტო არჩევნები 9 ოქტომბერს არის დანიშნული. არსებული ინფორმაციით, არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს, დაახლოებით, 20 კანდიდატი, მათ შორის - მოქმედი პრეზიდენტი ილჰამ ალიევი. ქვეყანაში მოქმედი კანონის მიხედვით, კანდიდატი საარჩევნო კომისიაში არჩევნებამდე 30 დღით ადრე უნდა დარეგისტრირდეს. სხვადასხვა დოკუმენტებთან ერთად, აუცილებელია 40 000 ამომრჩევლის ხელმოწერის წარდგენა. არჩევნებში გამარჯვებისთვის პირველივე ტურში ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტის მიღებაა საჭირო.

იემენში ამერიკის საელჩომ მუშაობა განაახლა

ამერიკის ხელისუფლებამ იემენის დედაქალაქ სანაში ამერიკის საელჩოს მუშაობის განახლების შესახებ განცხადება გააკეთა. «როიტერის“ ინფორმაციით, საელჩომ მუშაობა 18 აგვისტოს განაახლა, თუმცა ამის შესახებ ოფიციალურად 20 აგვისტოს გამოაცხადეს. აგვისტოს დასაწყისში ამერიკამ, «ალ ქაიდას“ მხრიდან ტერაქტების საფრთხიდან გამომდინარე, აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის 19 ქვეყანაში საელჩოები დახურა. ამ დრომდე დახურულია ამერიკის საკონსულო პაკისტანის ქალაქ ლაჰორში. ამერიკის გარდა, აგვისტოს დასაწყისში ამ ქვეყნებში დიპლომატიური წარმომადგენლობების მუშაობა შეაჩერეს ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიც არის დიდი ბრიტანეთი, კანადა და საფრანგეთი.

მოამზადა თამთა კახაძემ

ეგვიპტეში არც ხელისუფლება და არც ისლამისტები არაფერს თმობენ

ივა შილაკაძე

მოძრაობა „მუსლიმანი ძმების“ წარმომადგენლებმა დაგმეს ხელისუფლების მიერ მათი ლიდერის მოჰამედ ბადის დაკავება, რომელსაც ხელისუფლება ძალადობისა და მკვლელობებისკენ წაქეზებას აბრალებს (ამის შესახებ გუშინ უკვე ვწერდით). კერძოდ, ისლამისტების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბადის დაკავება 2011 წლის რევოლუციის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ნაწილია, რომელმაც ჰოსნი მუბარაქის რეჟიმი დაამხო.

თავისუფლების და სამართლიანობის პარტიის (პანარაბული მოძრაობა „მუსლიმანი ძმების“ პოლიტიკური ფრთა ეგვიპტეში) წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბადის დაკავება ისლამისტთა რიგებში ქაოსს არ გამოიწვევს. „ის ჩვენთვის ძვირფასია და მომხდარის გამო დამწუხრებულნი ვართ. მაგრამ მოძრაობა „მუსლიმანი ძმები“ მოქმედებს, როგორც კოალიცია და მისი დაპატიმრება არანაირად არ აისახება ჩვენს მოქმედებებზე და მშვიდობიანი პროტესტის უფლებაზე,“ - განაცხადა პრესკონფერენციაზე კაიროში ჰალედ ჰანაფიმ. „მუსლიმანი ძმები“ საკუთარ მომხრეებს გადაყენებული პრეზიდენტის მურსის თანამდებობაზე დაბრუნების მოთხოვნით აქციების გაგრძელებისკენ მოუწოდებენ.

მოჰამედ ბადის მოძრაობის ლიდერის თანამდებობაზე დროებით შეცვლის მისი მოადგილე მაჰმუდ ეზატი, რომლის დასაკავებლადაც ასევე გამოწერილია ორდერი.

70 წლის ბადის კონკრეტულად ბრალდება ძალადობის და მკვლელობის წაქეზება. საქმე ეხება ივნისში „მუსლიმანი ძმების“ შტაბბინასთან მომხდარ ეპიზოდს. მაშინ იქ შეტაკებაში ისლამისტების რვა მოწინააღმდეგე დაიღუპა. მოჰამედ ბადის დაკავების კადრების ჩვენებით კი, მიმომხილველების აზრით, სამხედროებს ისლამისტებზე გამარჯვების მასშტაბის დემონსტრირება სურდათ. საჯარო დამცირებამ შემდგომ პოლიტიკურ პროცესებში ისლამისტების პოზიციები შეიძლება, შეასუსტოს.

ეგვიპტეში საგანგებო მდგომარეობა კვლავ ძალაშია და ხელისუფლება „მუსლიმანი ძმების“ ლიდერების დაკავებასაც აგრძელებს. მაგალითად, ლიბიის საზღვართან დააკავეს მოძრაობის კიდევ ერთი სულიერი ლიდერი, რადიკალური ისლამისტი მქადაგებელი საფვატ ალ-ჰიჯაზი. მასაც მასობრივი არეულობებისკენ და დემოსტრანტების მკვლელობების წაქეზების გამო ეძებდნენ. ალ-ჰიჯაზი თვითგამოცხადებული იმამია, თუმცა ეგვიპტეში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მქადაგებელია. მას წლების განმავლობაში ეგვიპტის ტელევიზიით რელიგიური ტოკ-შოუ მიჰყავდა და ხალიფატის დამყარებაზე ოცნებობდა. ამის გარდა, კაიროს აეროპორტში, იტალიაში გაფრენის წინ დააკავეს „მუსლიმანი ძმების“ მრჩეველი მასობრივი ინფორმაციის საკითხებში მურად მუჰამედ ალი.

სხვათა შორის, მოჰამედ ბადი იმავე ციხე „ტორაში“ მოათავსეს, რომელშიც ექს-პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი ზის. ეს უკანასკნელი შესაძლოა, ამ კვირაშივე გაუშვან ციხიდან მისი ადვოკატის შუამდგომლობით. მუბარაქს სასამართლომ რევოლუციის წინა პერიოდში დემონსტრანტების დახოცვისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ ეს ვერდიქტი სააპელაციო სასამართლომ გააუქმა. დარჩენილი ორი ბრალდებიდან ერთი - კორუფცია - მას ცოტა ხნის წინ მოეხსნა. რჩება კიდევ ერთი ბრალდება - თანხების უკანონო მითვისება. სასამართლო დაეთანხმა ადვოკატის შუამდგომლობას მუბარაქის გირაოს სანაცვლოდ გაშვების შესახებ, თუმცა პროკურატურა მუბარაქის გაშვების გასაჩივრებას აპირებს.

სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, ნობელის პრემიის ლაურეატი მუჰამედ ელბარადეი. ის ვიცე-პრეზიდენტად ივლისის შუა რიცხვებში, მურსის გადაყენების შემდეგ დანიშნეს და რამდენიმე დღის წინ ისლამისტების კარვების ქალაქების აღებისას მომხდარი სისხლისღვრის გამო თანამდებობიდან საკუთარი სურვილით გადადგა. ბარადეის ეროვნული ინტერესების ღალატში სდებენ ბრალს. იგი ამჟამად ეგვიპტეში არ იმყოფება.

გუშინ ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომა ჩატარდა, სადაც ეგვიპრეში მომხდარი სისხლისღვრის გამო ამ ქვეყნისთვის ფინანსური დახმარების შემცირების საკითხი განიხილეს. გუშინვე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარი ჰარფმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატებიც ეგვიპტისთვის დახმარების შემცირების საკითხს ჯერ მხოლოდ განიხილავს და დახმარების შეჩერების შესახებ ერთი დღის წინ გავრცელებული ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამება (ამის შესახებ აშშ-ს პრესაზე დაყრდნობით გუშინ ჩვენც ვწერდით). თან ლაპარაკი არ არის დახმარების მთლიანად შეჩერებაზე, ეს შეიძლება, მხოლოდ პროგრამების ნაწილს შეეხოს. მარი ჰარფის სიტყვებით, თუ დახმარების პროგრამები შეჩერდება, ამის შესახებ ოფიციალურად გამოცხადდება, ისევე როგორც „ეფ-16“-ების მიწოდების შეჩერების შემთხვევაში მოხდა.

ეგვიპტის დროებითი მთავრობის მეთაურმა ჰაზემ ბებლავიმ კი გუშინ განაცხადა, რომ აშშ-ს სამხედრო დახმარების შეჩერება ცუდი ნიშანი იქნება და ეს ცოტა ხანს ასახვას ჰპოვებს როგორც არმიის მომარაგებაზე, ასევე აშშ-სა და ეგვიპტის ურთიერთობებზე. თუმცა ეგვიპტე ამ დახმარების გარეშეც იარსებებს. ბებლავიმ განაცხადა, რომ ეგვიპტეს შესაბამისი გამოცდილება აქვს. ქვეყანა ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა კავშირისგან სამხედრო დახმარებას იღებდა და რაცა ის შეწყდა, ტრაგედია არ მომხდარა. მანვე დასძინა, რომ დროებით ხელისუფლებას სწორი კურსი აქვს, რომელსაც არ გადაუხვევს.

რუსეთი ბელარუსში ავიაბაზას და გამანადგურებლებს განათავსებს

პირველი გვერდიდან

რუსეთ-ბელარუსის სამხედრო თანამშრომობის ფორსირებისას ლუკაშენკომ საკუთარი თავდაცვის სამინისტროსგან რუსეთის თავდაცვის მინისტრ შოიგუსთან და პრეზიდენტ პუტინთან მისი ბოლო შეთანხმებების გათვალისწინება მოითხოვა. ბელარუსში რუსული ავიაბაზის განთავსების გეგმებზე სერგეი შოიგუმ აპრილში, მინსკში ვიზიტით ყოფნისას, ლუკაშენკოსთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. შოიგუს სიტყვებით, ბაზაზე უნდა განლაგდეს ავიაგამანადგურებლები, რომლებიც საბრძოლო მორიგეობის პირველი კვანძის როლს შეასრულებს. 2015 წლისთვის ბელარუსში უკვე დაკომპლექტებული უნდა იყოს საავიაციო პოლკი.

ამ განცხადებამ აპრილშივე გამოიწვია როგორც ბელარუსის დასავლელი მეზობლების, ასევე ქვეყნის ოპოზიციის უკმაყოფილება. დასავლეთის აზრით, ეს რუსეთის მიერ რეგიონში სამხედრო ბალანსის დარღვევის მცდელობაა. ოპოზიცია კი მიიჩნევს, რომ ამით ირღვევა ბელარუსის ნეიტრალიტეტის პრინციპი, რაც კონსტიტუციით არის განსაზღვრული. არავის უნდა, რომ ომის შემთხვევაში პირველივე დარტყმის სამიზნე იყოს, თუმცა ასეთ უკმაყოფილებას პუტინი და ლუკაშენკო ყურადღებას არასდროს აქცევენ.

ისე, ლუკაშენკო აპრილშივე შეეცადა ოპონენტების დამშვიდებას უცხოეთში თუ ქვეყნის შიგნით. მან განაცხადა, რომ ავიაბაზის საკითხი განხილვის სტადიაშია და შეიძლება, რუსული თვითმფრინავები, უბრალოდ, ბელარუსის ავიაბაზებზე განლაგდეს. უკვე ივნისში რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა, გენერალ-ლეიტენენტმა ვიქტორ ბონდარევმა განაცხადა, რომ რუსეთის ავიაბაზა ბელარუსის დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ ლიდაში განლაგდება და იქ დისლოცირებული იქნება მოდიფიცირებული ავიაგამანადგურებლები „სუ-27სმზ“-ები (Су-27СМ3). გენერლის სიტყვებით, რუსეთი, როგორც რუსეთ-ბელარუსის კავშირის წევრი, ვალდებულიც კი არის, ბელარუსში ავიაბაზა ჰქონდეს, რომელიც სამოკავშირეო სახელმწიფოს თავდაცვის პირველი სტრატეგიული ეშელონის ფუნქციას შეასრულებს. ამ თვითმფრინავების პირველი ჯგუფი უკვე აგვისტოს დასაწყისში ჩაიყვანეს და ლიდას აეროდრომზე განათავსეს.

უფრო მეტი ინტრიგის შემცველია ბელარუს-რუსეთის ერთიანი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის შექმნის ისტორია. ამ ხელშეკრულებას ხელი ჯერ კიდევ 2009 წლის თებერვალში მოწერა, მაგრამ ლუკაშენკო მის რეალიზაციას არ ჩქარობდა და რატიფიკაცია თავისი ხელმოწერით მხოლოდ შარშან დაამტკიცა. მსვლელობა კი ამ საქმეს დღემდე არ მისცემია. ბელარუსი სისტემის რუსული მეთაურობის წინააღმდეგი იყო. ლუკაშენკოს განცხადებებიდან არ ჩანს, ამ საკითხში მინსკი მოსკოვთან დათმობებზე წავიდა თუ არა. მან ზოგადად ილაპარაკა, რომ „სამხედროებმა უნდა გაიგონ, რა შეგვიძლია და რა არა“ და რომ „ბელარუსმა ხალხმა უცხო სახელმწიფოს ჯარისკაცები არ უნდა შეინახოს“.

რუსეთი ავიაციით და ჰაერსაწინაარმდეგო სისტემებით ბელარუსის აღჭურვას საკმაოდ შეღავათიან ფასებში ახორციელებს. იმავე აპრილის შეხვედრაზე გაირკვა, რომ 2014 წელს რუსეთი ბელარუსს ანტისარაკეტო სისტემა „C-300“-ის ოთხ დივიზიონს მიაწვდის. როგორც ჩანს, ლუკაშენკო ავიაბაზას, ფაქტობრივად, „ეს-300“-ებში ცვლის, რადგან მისი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა საკმაოდ მოძველებულია. ახალი სისტემებიდან მას მხოლოდ „ტორ-2მ“ და სამამულო წარმოების რადარები აქვს. ახლო აღმოსავლეთის მოვლენები აჩვენებს, რომ ეს ნებისმიერი სახელმწიფოსთვის არასაკმარისია. ამას გარდა, ორიოდე წლის წინ ამ სისტემას შვედური მსუბუქი სამოქალაქო თვითმფრინავი გამოეპარა, რომლებიდანაც ბელარუსში გადაყარეს სათამაშო დათვების „დესანტი“ პროკლამაციებით.

სამხედროებთან თათბირზე ლუკაშენკომ ბელარუსის არმიის რიცხოვნობის შემცირების და შეიარაღებული ძალების დაფინანსების ოპტიმიზაციის საჭიროებაზეც ილაპარაკა. ქვეყნის არმია უკვე განახევრებულია 200 ათასიდან 100 ათასამდე და ის კიდევ შემცირდება, რადგან დღეს რაოდენობაზე მეტი მნიშვნელობა აღჭურვას და პროფესიონალიზმს ენიჭება.

ამას გარდა, ლუკაშენკომ სამხედროებს დაავალა, მალე გაყიდონ მათთვის მოძველებული და უსარგებლო სამხედრო ტექნიკა, ცხადია, საერთაშორისო ნორმების დაცვით, სანამ ის კიდევ ვინმეს სჭირდება. თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ სიტყვებით ლუკაშენკო უკვე განხორციელებული რამდენიმე გარიგების ლეგალიზაციას ცდილობს - მაგალითად, სუ24-ების სუდანისთვის მიყიდვას.

რუსეთთან მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობა ბელარუსს საშუალებას აძლევს, მიიღოს თანამედროვე შეიარაღება იაფად, აგრეთვე სხვა სახის ეკონომიკური შეღავათები, რაც აუცილებლად 2015 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ დასჭირდება.

სამხედრო ექსპერტები აცხადებენ, რომ ბელარუსში სწორედ „Су-27СМ3“-ების განლაგება საკმაოდ ცალსახა დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ეს არის მრავალფუნქციური ავიაგამანადგურებელი, რომელიც ეფექტურია დამრტყმელი ამოცანების შესასრულებლად. აქვს „ჰაერი-მიწა“ კლასის უზუსტესი იარაღი, მათ შორის, თანამგზავრული დამიზნების ავიაბომბების სახით. მიწაზე მიზნების განადგურებისას ის სამჯერ უფრო ეფექტურია, ვიდრე მისი წინამორბედი „Су-27С“. მისი მოქმედების რადიუსი 1500 კილომეტრია საწვავის ჰაერში შევსების გარეშე ანუ ეს არის მანძილი ბელარუსის დასავლეთ საზღვრიდან ლონდონამდე. ასეთი მონაცემები უმთავრესად ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ამოცანების გადასაწყვეტად ცოტა ზედმეტია. ამ მიზნით უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა „მიგ-31ბ“-ს (МиГ-31Б) გამოყენება, რომელიც სპეციალურად დამუშავდა, როგორც ავიაგამანადგურებელი-გზაგადამჭრელი. თან ეს „მიგები“ რუსეთს ბევრი აქვს, ხოლო „Су-27СМ3“-ები დღეისთვის სულ 12 ცალია დამზადებული.

ამ ინფორმაციის შემდეგ ადვილი გასაკეთებელია დასკვნა, რომ ლიდაში რუსეთის ავიაბაზის ძირითადი დანიშნულება იქნება ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების ნეიტრალიზაცია ცენტრალურ ევროპაში მათი განთავსების შემდეგ. არც ის არის გამორიცხული, რომ ის გარკვეული საპირწონე გახდეს ამერიკული მრავალფუნქციური ავიაგამანადგურებლების „ეფ-16“-ებისთვის, რომლებიც წლის ბოლოსთვის პოლონეთის ქალაქ ლოძთან უნდა განთავსდეს.

ამ გეოსტრატეგიული „თამაშის“ ძირითადი პოლიტიკური დანაკარგი ბელარუსთან დასავლეთის ურთიერთობა იქნება, თუმცა ეს ურთიერთობა ისედაც ცუდია.

ბი-ბი-სის მიხედვით
მოამზადა ივა შილაკაძემ

ქართული სეზონი ედინბურგის ფესტივალზე 2013

პირველი გვერდიდან

ბრიტანული პრესის მოწინავე კრიტიკოსის, ჯოის მაკ მილანისგან თუმანიშვილის თეატრს, წელს, 4 ვარსკვლავი ერგო, რაც ასეთი რანგის ფესტივალზე დიდი წარმატებაა. მაკლიმანმა პოპულარულ გაზეთ «სკოტსმენში» თუმანიშვილის სახელობის სპექტაკლის -»მელოტი მომღერალი ქალის» შესახებ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა: **ისინი ქართულად თამაშობენ სუბტიტრების თანხლებით, რაც „ფრინჯისთვის“ საკმაოდ მოუხერხებლად ითვლება... მიუხედავად ამისა, ქართველმა მსახიობებმა ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ანსამბლური სპექტაკლი წარმოადგინეს, რაც კი ფრინჯზე წელს მინახავს. ეს არის შესანიშნავი ქართული ვერსია იონესკოს „მელოტი მომღერალი ქალის“, რომლის პრემიერაც პირველად პარიზში, 1950 წელს გაიმართა. - ჯოის მაკ მილანი სკოტსმენი“.**

ედინბურგის ფესტივალის ქართული სეზონის“ ფარგლებში სპექტაკლების ჩვენება შემდეგი პროგრამით მიმდინარეობს :

1 - 8 აგვისტო, ედინბურგის «ნიუ თაუნ“ თეატრი - ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრის წარმოდგენა **შუა ზაფხულის ღამის სიზმარი“**(რეჟისორი დავით დოიაშვილი);

9 - 17 აგვისტო, ედინბურგის «ნიუ თაუნ“ თეატრი - მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის წარმოდგენა **მელოტი მომღერალი ქალი“** (რეჟისორი ზურაბ გეწაძე);

18 - 25 აგვისტო, ედინბურგის «ნიუ თაუნ“ თეატრი - თეატრი ათონელზე- წარმოდგენა **დილა მშვიდობისა 100 დოლარიანო“** (რეჟისორი ქეთი დოლიძე);

4 - 22 აგვისტო, ედინბურგის «ესემბლის“ სცენა - მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის წარმოდგენა **ჩემი თაობის ავტოპორტეტი“** (რეჟისორი ნანა კვასხვაძე);

1-24 აგვისტო, ედინბურგის «ჰილ სთრით“ თეატრი - მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრის წარმოდგენა **კაბა“** (რეჟისორი ჰილარი ვუდი.) ქართული სეზონის ორგანიზატორები, ედინბურგის ესემბლი ფესტივალი და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი «საჩუქარი», ოქტომბრის საფესტივალო პროგრამასა და საორგანიზაციო საკითხებზე საბოლოოდ ფესტივალის საზეიმო დახურვამდე შეჯერდებიან და 27 აგვისტოს თბილისში დაბრუნდებიან.

ფესტივალი ოფიციალურად 25 აგვისტოს დაიხურება.

ხელოვნება

კიფერი - ბნელი მხარეების მაძიებელი

ფერფლს ურევს მიწაში, მიწაში კი - ქაღალდებსა და ჩალას, ამ ყველაფერს ხშირად უსვამს სახეზე საკუთარი წინაპრების პორტრეტებს. ეს ანსელმ კიფერია. ყველაზე ცნობილი, ყველაზე ძვირადღირებული და ყველაზე პოპულარული თანამედროვე გერმანელი მხატვარი. ის, რომელიც დაიბადა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიაში და რომელმაც ადამიანების ყველაზე ცუდი მხარეები ძალიან ახლოდან დაინახა. წერს რომ ხატავს იმ იმედგაცრუებაზე, რომელიც რენესანსის შემდეგ ადამიანებმა პირველად გამოავლინეს. მეოცე საუკუნემ დაასრულა საუბარი იმის შესახებ თუ რა საოცრად კეთილშობილური მისწრაფებება აქვს ადამიანს. აღმოჩნდა რომ არის სხვა მხარეც. ჰოლოკოსტია ის, რაც გერმანელმა მხატვარმა ვერ დაძლია და ეს ვერ დაძლევა გახდა მისი გამორჩეული ხედვის, სტილისა და სამეტყველო ენის განმსაზღვრელი.კიფერი შეიქმნა ამ დრამის გათავისების პროცესში.

თავდაპირველად ფიქრობდა ესწავლა სამართალი, შემდეგ გადაერთო ლიტერატურის სწავლაზე, საოცრად გაიტაცა ფილოსოფიამ, მაგრამ საბოლოოდ გადაიხარა ხელოვნებისკენ. ფრაიბურგი, კარლსრუე, დუსელდორფი... ყველგან სწავლობდა. საბოლოოდ პირველად თავი კარლსრუეს დამტვალიერებელს დაამახსოვრა ფოტოსერიით, რომელშიც გერმანულ საზოგადოებაში ძალიან ცოცხალ, მაგრამ ფარულ ნაცისტურ სულისკვეთებას ამხელდა. მომდევნო წლებში და დღემდე მისი ხელოვნება უფრო ღრმა ანალიტიკურ საფუძველს ეფუძნება და მოიცავს უამრავ სიმბოლურ-მეტაფორულ გადაწყვეტას. ეს მაინც კრიტიკაა - გერმანული სულის კრიტიკა-გერმანული საზოგადოების განსაკუთრებული მისიის“ ძიება ნიბელუნგებიდან ჰიტლერამდე და ამ საზოგადოებრივი თუ ნაციონალური ვნების მხელა ფერწერით, გრაფიკითა და ინსტალაციებით.

ამ ეტაპზე ცხოვრობს საფრანგეთში. სადაც შექმნა შემოქმედებითი ლაბორატორია. მუშაობს არა მხოლოდ როგორც დამოუკიდებელი არტისტი, არამედ როგორც თეატრის მხატვარი და წიგნის გამფორმებელი. **24 საათი**

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018281

შემსყიდველი	სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.08.2013 11:16
წინადადებების მიღება იწყება	26.08.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	29.08.2013 15:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	70194 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გარეშე
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები , 30213000-პერსონალური კომპიუტერები, 30230000-კომპიუტერთან დაკავშირებული მოწყობილობები, 30232100-პრინტერები და პლოტერები, 30237200-კომპიუტერის აქსესუარები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტციის ტექნიკური პირობები
მოწოდების ვადა	სასურველი ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარული დღე.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	1000 ლარი
გარანტიის ოდენობა	702 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018287

შემსყიდველი	არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.08.2013 11:52
წინადადებების მიღება იწყება	23.08.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	27.08.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	6700 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	31500000-გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	31523100-სარეკლამო ნეონის სანათები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	2 ცალი
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	50 ლარი
გარანტიის ოდენობა	67 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018288

შემსყიდველი	დაცული ტერიტორიების სააგენტო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.08.2013 12:12
წინადადებების მიღება იწყება	23.08.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	27.08.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	1590 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გარეშე
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	79800000-ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	79800000-ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	6 ლარი
გარანტიის ოდენობა	16 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018289

შემსყიდველი	შპს ,,ბათუმის წყალი"
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.08.2013 12:16
წინადადებების მიღება იწყება	26.08.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	29.08.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	9000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	14700000-ძირითადი ლითონები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	14712000-ტყვია
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	2000 კილოგრამი
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების დადებიდან 10 კალენდარული დღე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	90 ლარი
გარანტიის ოდენობა	90 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018290

შემსყიდველი	მცხეთის მუნიციპალიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.08.2013 12:23
წინადადებების მიღება იწყება	06.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	11.09.2013 14:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	209960 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45231300-წყლისა და საკანალიზაციო მილსადენების მშენებლობა
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ მოცულობათა უწყისი და დანართები
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 2 თვე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	3000 ლარი
გარანტიის ოდენობა	2100 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018292

შემსყიდველი	ბათუმის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.08.2013 12:49
წინადადებების მიღება იწყება	23.08.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	27.08.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	8300 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45400000-შენობის დასრულების სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45400000-შენობის დასრულების სამუშაოები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	120 ლარი
გარანტიის ოდენობა	83 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018295

შემსყიდველი	ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.08.2013 13:10
წინადადებების მიღება იწყება	23.08.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	27.08.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	21430 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	03400000-მეტყევეობისა და ტყეკაფვის პროდუქტები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	03400000-მეტყევეობისა და ტყეკაფვის პროდუქტები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	195 კბ.მ
მოწოდების ვადა	2013 წლის 01 ნოემბრამდე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	214 ლარი
გარანტიის ოდენობა	214 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130018298

შემსყიდველი	თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.08.2013 13:26
წინადადებების მიღება იწყება	07.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	12.09.2013 14:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	5750 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	33100000-სამედიცინო მოწყობილობები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	33100000-სამედიცინო მოწყობილობები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	70 ლარი
გარანტიის ოდენობა	58 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

„დინამოს“ ევროპის ლიგის ჯგუფამდე ორი დიდი ნაბიჯი აშორებს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან ბუქარესტის «სტიაუას» დამსახურებით ევროპა ლიგის ფლეი ოფში ჩამოქვეითებულ დინამოელებს დღეს პრემიერლიგის ბინადარ «ტოტენჰემთან» უწევს შეხვედრა, მანამდე კი გუშინ იყო 15-წუთიანი ღია ვარჯიშები - ჯერ სტუმრების, მერე კი მასპინძლების, რასაც წინ უძღოდა გუნდების მთავარი მწვრთნელების, ჯერ ტოტენჰემელთა პორტუგალიელი დამრიგებლის ანდრე ვილაშ-ბოაშისა და დინამოელთა ჩეხი მწვრთნელის დუშან უჰრინის პრესკონფერენციები. ორივე გუნდის მწვრთნელებს თან ახლდნენ თითო მოთამაშე - სტუმართა მხრიდან იუნეს კაბული და მასპინძელი ირაკლი ძარია. ასე რომ, სტუმართა პრესკონფერენციით დავიწყოთ.

ანდრე ვილაშ-ბოაში: «ამ სეზონში ეს ჩვენი მეორე ოფიციალური თამაშია. «დინამოს» წინააღმდეგ თუ რა ტაქტიკით ვითამაშებთ ჯერ კიდევ არ გადამიწყვეტია. «დინამო» - «სტიაუას» დაპირისპირების ორივე მატჩი ვნახე, შემდეგ კი ჩვენ სკაუტი გვყავდა გამოგზავნილი «დინამოს» თამაშზე, რამაც გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნა ჩვენს მოწინააღმდეგეზე. «დინამოს» კარგად გამოსდის კონტრშეტევების განხორციელება. აკადემიკაში მუშაობისას ჩემს გუნდში ირიცხებოდა პატრიკ ვუო, რომლის შესაძლებლობებიც ჩემთვის მეტნაკლებად ცნობილია. ასევე მინდა გამოვყო დინამოელი ჩისკო, რომელიც საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელია. დღევანდელი ვარჯიშის შემდეგ მეცოდინება დაახლოებითი მონახაზი, თუ როგორ ვითამაშებთ. ხვალ. დინამოს წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ აარონ ლენონი, იან ვერტონგენი და გარეთ ბეილი - მათ ჯერ კიდევ ტრავმები აქვთ».

იუნეს კაბული: »ჩვენს მეტოქეზე ბევრი არაფერი ვიცით, თუმცა ვფიქრობ, კარგი გუნდი უნდა იყოს. ტურნირის ამ სტადიაზე მოხვედრილ გუნდთან თამაში ადვილი ნამდვილად არ იქნება. ბუნებრივია ორივე გუნდს ძალზედ სურს ჯგუფურ ეტაპზე თამაში, მაგრამ ჩვენ აქ იმისთვის ჩამოვედით, რომ შინ დადებითი შედეგით დავბრუნდეთ. დარწმუნებულნი ვართ საკუთარ შესაძლებლობებში. ჩვენის საქმის პროფესიონალები ვართ, ყველა თამაშს სერიოზულად ვუდგებით და ამავდროულად ყველა მეტოქეს სათანადოდ ვაფასებთ».

დუშან უჰრინი: «რთული თამაში გვექნება. შეიძლება ითქვას, ასეთ გუნდთან შეხვედრას დიდი ხანია ველოდებოდით. სათანადოდ ვაფასებთ მეტოქეს და ვიცით, რა დონის მოწინააღმდეგე გვყავს. საკუთარ მოედანზე ვთამაშობთ და ჩვენთვის დამაკმაყოფილებელი შედეგი მოგება იქნება. გუშინ ყარაგანდის «შახტარმა» გლაზგოს «სელტიკი» დაამარცხა. «სელტიკისა» და «ტოტენჰემის» ერთმანეთთან შედარებას არ ვაპირებ, თუმცა ვიტყვი, რომ ეს ფეხბურთია და აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჩვენც გვაქვს ჩვენი კოზირები და ხვალ მის გამოყენებას შევეცდებით. რა ტაქტიკით ვითამაშებთ? - განსხვავებულით».

ირაკლი ძარია: «ტოტენჰემს» ზედმეტი წარდგენა არ სჭირდება, ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა დონის გუნდთან გვიწევს თამაში. რა თქმა უნდა, რთული შეხვედრა გველის. ყველანი მაქსიმალურად ვემზადებით. ყველას გამარჯვება გვსურს და გვინდა «დინამო არენაზე» მოსული გულშემატკივარი გავახაროთ. ყოველ შემთხვევაში ბოლომდე ბრძოლას ვაპირებთ. იქაც ისეთივე ადამიანები თამაშობენ, როგორც აქ. ტრავმის გამო გარკვეული პერიოდი გამიცდა. ერთი კვირაა გუნდთან ერთად ვვარჯიშობ და მზად ვარ. ხვალინდელ მატჩში ვითამაშებ თუ არა, ეს მხოლოდ მწვრთნელის გადასაწყვეტია. თუმცა იმ დროის განმავლობაში, რომელიც მომეცემა, თავს არ დავზოგავ და მაქსიმალურად დავიხარჯები მოედანზე».

«დინამო» VS «ტოტენჰემი» 20 საათზე დაიწყება.

კასილიასი «ბარსელონაში»?

წარმოუდგენლად ჟღერს, მაგრამ, შესაძლოა, მადრიდის „რეალის“ მეკარე იკერ კასილიასი „ბარსელონაში“ გადავიდეს. ყოველ შემთხვევაში, ასეთ ინფორმაციას ავრცელებს ესპანური ინტერნეტ გამოცემა sport.es.

გასულ სეზონში მადრიდელთა სათაყვანებელმა მეკარემ ტრავმა მიიღო, რამაც სამეფო კლუბი აიძულა დიეგო ლოპესი შეეძინა. შენაძენი კი იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ ესპანეთის ნაკრების მეკარემ ძირითადში ადგილი დაკარგა.

თავდაპირველად იყო ვარაუდი, რომ ლოპესი დროებით შეცვლიდა კასილიასს, მერე კი აშკარა გახდა, რომ მადრიდელთა მაშინდელ მწვრთნელს, ჟოზე მოურინიოს, პირველ ნომრად სწორედ ლოპესი ესახებოდა და არა კასილიასი.

პორტუგალიელი მწვრთნელის ლონდონის «ჩელსისში» დაბრუნების შემდეგ ბევრს მიაჩნდა, რომ კასილიასი კუთვნილ ადგილს დაუბრუნდებოდა, მაგრამ... პრიმერადივიზიონის პირველ ტურში «ბეტისთან» კარლო ანჩელოტიმ „რეალის“ კარის დარაჯად კვლავ დიეგო ლოპესი გაამწესა.

ახლა კი ესპანური პრესაში იმაზე საუბრობენ, რომ კასილიასი სერიოზულად ფიქრობს კლუბის შეცვლაზე, რადგან ესპანეთის ნაკრებში პირველი მეკარის სტატუსის დაკარგვის შიშმა შეიპყრო.

ამგვარი მოსაზრებების მიუხედავად, კასილიასის მოსისხლე კლუბში გადასვლა აქედანვე არასერიოზულად მოჩანს.

უფრო საინტერესოა ის, რაც გაცილებით სერიოზულად ჟღერს. ინგლისურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი მზადაა, იკერ კასილიასში 15 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს, თუ, რა თქმა უნდა, ესპანელი „რეალის“ დატოვებას მოინდომებს.

ბრიტანული გამოცემა Guardian-ის ცნობით, ესპანეთის ნაკრების მეკარე შეიძლება „არსენალში“ გადავიდეს. თუ ასე მოხდება, კასილიასი ვენგერის გუნდის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გახდება.

ტაისონი ნარკოტიკებით ცდილობდა თვითმკვლელობას

მძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი და პროფესიული კრივის ისტორიის ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი, დღეს კი 47 წლის მაიკ ტაისონი New York Daily News-თან საუბარში იმ წლებს იხსენებს, უფრო სწორად, აღიარებს, რომ ნარკოტიკების გადაჭარბებული დოზის მიღებით არაერთხელ შეეცადა თვითმკვლელობას. ამ მცდელობებს მხოლოდ მაშინ შევეშვი, როდესაც ჩვილი ბავშვი გარდამეცვალაო (2009 წელს).

«გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, თავის მოკვლას ვცდილობდი. ყოველ საღამოს ნარკოტიკების დიდ დოზას ვიღებდი. მერე კი ვიჯექი და ვფიქრობდი: «არ მჯერა, რომ დღეს დილა გამითენდა».

პიტ სამპრასი და როჯერ ფედერერი

მეტოქეები: პიტ სამპრასი და როჯერ ფედერერი.

შეხვედრის ადგილი: უიმბლდონი.

ფაქტორები ფედერერის სასარგებლოდ: მუდმივი მეტოქეობა „მსოფლიოში საუკეთესოს“ ტიტულის მოსაპოვებლად. ვინ არ მიიღებს მონაწილეობას ამ დაპირისპირებაში? არის საკითხები, რომელთა შესახებ კამათი არასდროს არ შეწყდება; ერთ-ერთია ისტორიაში საუკეთესოს წოდება. შესანიშნავი სადისკუსიო თემა, მით უფრო, როდესაც ლაპარაკია ყველა დროის ყველაზე ტიტულოვან ჩოგბურთელებზე - როჯერ ფედერერსა და პიტ სამპრასზე. ბალახზე ჩოგბურთის ამ დიდოსტატებს უიმბლდონზე მოპოვებული აქვთ შვიდ-შვიდი გამარჯვება. სამპრასისთვის ეს მეიჯორებზე მის გამარჯვებათა ზუსტად ნახევარია. პიტი თითქმის ათ წელიწადს ლიდერობდა დიდი სლემის ტიტულების რაოდენობით, სანამ 2009 წელს ფედერერმა არ აჯობა. დღეისთვის შვეიცარიელს დიდი სლემის 17 ტურნირი აქვს მოგებული.

როჯერ ფედერერი და პიტ სამპრასი

დიდების მწვერვალზე მყოფი ფედერერი თამაშობდა ძალიან ელეგანტურად, გაცილებით უფრო დახვეწილად, ვიდრე სამპრასი. შვეიცარიელი იმარჯვებდა ვარიატულობისა და თამაშის შეცნობის შესანიშნავი შეხამებით; უპირველეს ყოვლისა, ის იყო ორიენტირებული შეტევაზე. უიმბლდონზე, სამი წლის წინ, თავისთვის რეკორდულ შეხვედრაში ენდი როდიკთან, როჯერმა 50 ეისი შეაგროვა. მოგებულ ქულებზე გადაანგარიშებით ეს ორ მოგებულ სეტზე მეტია. ფედერერი კორტზე შეუდარებელი გრაციით გადაადგილდებოდა. მოქმედებდა ძალზე ბრძნულად და ამავე დროს მძლავრად. მას, როგორც არავის, ეხერხებოდა მეტოქის მომაკვდინებელი ჩაწოდების აღება, მაგალითისთვის - მარკ ფილიპუსისთან შეხვედრა უიმბლდონ 2003-ზე, ან, თუნდაც, სამპრასისთვის მარცხით დამთავრებული ცნობილი მატჩი 2001 წელს.

სამპრასის თავგადაკლული გულშემატკივრები ამაზე ამბობენ, რომ 2001 წელს ამერიკელი უკვე აღარ იყო საუკეთესო ფორმაში. ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის, რომ ამ შეხვედრამ შეწყვიტა პიტის დაუმარცხებელი 31-მატჩიანი სერია უიმბლდონზე. მეტიც, შემდეგ სეზონში სამპრასმა გაიმარჯვა US Open-ზე. ისინი კიდევ რამდენჯერმე რომ შეხვედროდნენ ერთმანეთს, ფედერერი ალბათ გააგრძელებდა გამარჯვებათა სერიას. პიტის არც ერთ სახელგანთქმულ მეტოქეს, ბორის ბეკერითა და ჯიმ კურიეთი დაწყებული, ანდრე აგასით დამთავრებული, არ ჰქონდა როჯერივით გენიალურად განვითარებული დარტყმის შეგრძნება.

ფაქტორები სამპრასის სასარგებლოდ: ბედის ნამდვილი ირონია - პიტ სამპრასი, ასეთი მშვიდი ადამიანი ასე კარგად თამაშობდა ჩოგბურთს. უიმბლდონი მისი ნამდვილი სამკვიდრო იყო. ამ ტურნირზე გასამარჯვებლად სამპრასს არ სჭირდებოდა სასწაული და გარემოებათა დამთხვევა; საკმარისი იყო მხოლოდ ჩოგანი ხელში. სამპრასი კი არ უგებდა მეტოქეებს, ის მათ ანადგურებდა. ამერიკელს ჰქონდა გრიგალივით ჩაწოდება და თითქმის მომაკვდინებელი ფორჰენდი. ამავე დროს პიტი იყო serve-and-volley სტილის კლასიკური მიმდევარი. იმისთვის, რომ აეღო გათამაშება, მას არ უწევდა ზედმეტი ძალისხმევა და ზოგჯერ მოქმედებდა საგამოფენო რეჟიმში. სამპრასი არ იყო დაუმარცხებელი, მაგრამ ძალიან ახლოს მივიდა ამ ტიტულთან. რვა წლის განმავლობაში უიმბლდონზე მოიპოვა შვიდი ტიტული და შეიქმნა ჩემპიონის უხილავი აურა. 1996 წელს რიხარდ კრაიჩეკის მიერ პიტის დამარცხება მეოთხედფინალში აღქმული იყო როგორც სამყაროს აღსასრული. როდესაც ნადალმა 2008 წელს დაამარცხა ფედერერი, ეს გრძნობა არ ყოფილა - უბრალოდ, იყო უფრო ძლიერი მოთამაშის ტრიუმფი. გარდა ამისა, სამპრასს უხდებოდა უფრო ძლიერი კონკურენციის დაძლევა. თუ არ ჩავთვლით ნადალს, უიმბლდონზე თავისი დომინირების პერიოდში არ ჰყოლია ივან ლენდლის, ბორის ბეკერის, ჯიმ კურიესა და ანდრე აგასის დონის მეტოქეები. გარდა ამისა, ფინალების გზაზე შვეიცარიელს იშვიათად ხვდებოდნენ რთული მოწინააღმდეგეები - კენჭისყრა, როგორც წესი, მის მიმართ კეთილგანწყობილი იყო.

კიდევ ერთი შტრიხი - გარკვეული პერიოდის შემდეგ ფედერერმა თავის საყვარელ ტურნირზე დაიწყო ფიზიკურად ძლიერ მოწინააღმდეგეებთან წაგება, მაგალითად, 2010 წელს ტომაშ ბერდიხთან, ხოლო ერთი წლის შემდეგ - ჟო-ვილფრიდ ცონგასთან. რასაკვირველია, ეს იყო სენსაციები, მაგრამ ისეთი გამაყრუებელი რეზონანსი, როგორც სამპრასის 1996 წლის დამარცხებას, მათ არ მოჰყოლია. ისტორიის უდიდესი მოთამაშის სახელის მინიჭებას წინ უძღვის ცხარე დებატები. თუ გავიხსენებთ სამპრასს უიმბლდონზე მისი დიდების წლებში, ძნელად თუ ვინმე იქნება ღირსი დაუდგეს მას გვერდით, ფედერერიც კი, ყველა მისი რეგალიის მიუხედავად.

ბრედ გილბერტის ვერდიქტი: დრომ შეცვალა ბალახზე თამაშის სტილი ისე, როგორც არც ერთ სხვა საფარზე. 90-იან წლებში უიმბლდონზე შეუძლებელი იყო წარმატების მიღწევა უკანა ხაზზე თამაშით. 15-20 წლის წინ მის კორტებზე შეუძლებელი იყო სამპრასის ჩაწოდების მოგერიება. საქმე ის არის, რომ ის საფარი თითქმის არ ირეკლავდა ბურთს; ხოლო თუ მეტოქეები ერთმანეთს შეხვდებიან თანამედროვე საფარზე, გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება ფედერერის ვარიატულობასა და ტაქტიკურ მრავალფეროვნებას. ბურთი აირეკლება საკმაოდ მაღლა, ასე რომ, როჯერი შეძლებს პიტის ჩაწოდების მოგერიებას და დარტყმებს სასურველი მდგომარეობიდან.

თანამედროვე ბალახის საფარის ხარისხი ათჯერ სჯობს სამპრასის დროინდელს, მაგრამ თვითონ კორტები უფრო ნელი გახდა. რასაკვირველია, სამპრასი თავისას აიღებს, მაგრამ თუ ორივე მოთამაშე გამოვა თანამედროვე კორტზე თავისი დიდების ზენიტში, შეხვედრის ფავორიტი მაინც ფედერერი აღმოჩნდება.


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
2013
elite
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
MYVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 Saati
allmovies.ge
Pink